ი.ჭავჭავაძის გამზირი 84
0162 თბილისი, საქართველო
+995 32 2 25 84 84
info@expertiza.gov.ge

ᲡᲘᲞ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ
ᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ
ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝ

№ 5003588726
19/06/2026

5003588726

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები-ს წარმომდგენელს (მინდობილობით) ბატონ გელა კელაპტრიშვილს

(საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ., №15)

ბატონო გელა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2026 წლის 19 მაისის რეგისტრაციის N1004219026) საფუძველზე, გიგზავნით სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის N004257026 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

პატივისცემით,

ი. ლიჩელი

ირაკლი ლიჩელი
ბიუროს უფროსის მოადგილე

5003588726

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____ (ხელმოწერა) ბ.ა

თარიღი 22.06.2026.

004257026

ექსპერტის დასკვნა № 004257026

გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები

თანამდებობა: წარმომდგენელი (მინდობილობით)

მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ., №15

სახელი და გვარი: გელა კელაპტრიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ბაჩუკი ჩხარტიშვილი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 8 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაგვიდგინოთ ავტო ამწე KRAZ 250, სახ. ნომრით JGJ-109, ტექნიკური მდგომარეობა.

შემოსვლის თარიღი: 19/05/2026 წ

გასვლის თარიღი: 19/06/2026 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი 1991 წელს დამზადებული სპეციალური ამწე „KRAZ 250", სახელმწიფო ნომრით №: JGJ-109, საიდენტიფიკაციო №(VIN): GESA3E00869-ი, ტექნიკურად გაუმართავ და ამორტიზირებულ მდგომარეობაშია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია 1991 წელს დამზადებული სპეციალური ამწე „KRAZ 250", სახელმწიფო ნომრით №: JGJ-109, საიდენტიფიკაციო №(VIN): GESA3E00869, რომლის ვიზუალური დათვალიერება მოხდა ქ. ფოთში. ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამწის ძარას აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული ცვეთის კვლები საღებავის აშრევების, განაკაწრების დეფორმაციების და ძლიერი კოროზიის სახით. ამწეს ასევე აღენიშნება ღია ცის ქვეშ ხანგრძლივად დგომის კვლები რასაც ადასტურებს ტექნიკის ძარაზე მოჭარბებული რაოდენობით მტვრის ფენა. გარდა ზემოაღნიშნულისა გამოსაკვლევ ტექნიკას დაზიანებული აქვს: საბურავები, ლაქ-საღებავის ფენა სრულად, წინა ბამპერი, ცხაურა, ძრავის სახურავი, სადგომი ფეხები, წინა და უკანა მაშუქი ფარები, წინა მარჯვენა უძრავი საქარე მინები, ძრავის მაკომპლექტებელი დეტალები, ძრავის გაგრილების მაკომპლექტებელი დეტალები, ინტერიერის მაკომპლექტებელი დეტალები სრულად, ელ. სისტემები, ამწე მექანიზმის ბაგირები (კოროზირებულია), მაღალი წნევის მილები, ამწე მექანიზმის სამართავი კაბინა, საშხეფურები, ანთების ბატარეა, სავალი ნაწილები და ა.შ. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი

ამწე ტექნიკურად გაუმართავ და ამორტიზირებულ მდგომარეობაშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი 1991 წელს დამზადებული სპეციალური ამწე „KRAZ 250", სახელმწიფო ნომრით №: JGJ-109, საიდენტიფიკაციო №(VIN): GESA3E00869-ი, ტექნიკურად გაუმართავ და ამორტიზირებულ მდგომარეობაშია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი სულაძე